პროექტი

# ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ ______

ქალაქი ქუთაისი ______ ნოემბერი 2025 წელი

**„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის №177 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად:

**მუხლი 1.** შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის №177 განკარგულებაში, კერძოდ:

1. ამოღებულ იქნეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმიდან №32; №129; №139; №187; №273; №282; №306 პუნქტები.

2. ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმას დაემატოს №309-№314 პუნქტები თანდართული რედაქციით.

(დანართი განკარგულებას თან ერთვის)

**მუხლი 2.** კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

**მუხლი 3.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 4.** განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი დავით ერემეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2025 წლის --- ნოემბრის
№ განკარგულების დანართი

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმა**

| № | ქონების დასახელება | მისამართი | ფართობი (კვ.მ.) | საკადასტრო კოდი | საწყისი საპრივატი-ზებო საფა-სური (ლარი) | აუქციონით განკარგვის ფორმა (პირობით ან უპირობოდ) | სრული ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდი ან/და პერიოდულობა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 |
| 309 | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | ქალაქი ქუთაისი, ნიკეას ქუჩა, II შესახვევი, №36-ის მიმდებარედ | 81 | 03.05.23.809 | 55.00 (1 კვ.მ.–ზე) | უპირობო | ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში |
| 310 | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | ქალაქი ქუთაისი, სულხან-საბას გამზირი №43ბ-ს სამხრეთით | 88 | 03.05.28.674 | 55.00 (1 კვ.მ.–ზე) | უპირობო | ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში |
| 311 | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | ქალაქი ქუთაისი, ბუკიას ქუჩის მიკრორაიონი (ნაკვეთი №2) | 88 | 03.01.32.089 | 70.00 (1 კვ.მ.–ზე) | უპირობო | ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში |
| 312 | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | ქალაქი ქუთაისი, ნიკეას ქუჩა, II შესახვევი, №13-ის აღმოსავლეთით | 3 | 03.05.23.304 | 55.00 (1 კვ.მ.–ზე) | უპირობო | ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში |
| 313 | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | ქალაქი ქუთაისი, სულხან-საბას გამზირის მიმდებარედ | 1585 | 03.05.28.634 | 55.00 (1 კვ.მ.–ზე) | უპირობო | ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში |
| 314 | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | ქალაქი ქუთაისი, ფოთის ქუჩა №13გ | 1150 | 03.06.01.452 | 130.00 (1 კვ.მ.–ზე) | უპირობო | ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში |

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი დავით ერემეიშვილი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის №177 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

*განმარტებითი ბარათი*

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებას მიეკუთვნება მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების გეგმის დამტკიცება. ასევე, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, განხორციელდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის №177 განკარგულებაში შესაბამისი ცვლილებების შეტანა. განკარგულების დანართში მითითებული უძრავი ქონების, სარგებლობაში და საპრივატიზაციო ობიექტების გეგმაში დამატების შემთხვევაში, მათი პრივატიზაციის ან სარგებლობაში გაცემის შემდგომ, მოხდება დამატებითი შემოსავლების მიღება.

განკარგულების პროექტს საკრებულოს სხდომაზე წარადგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მ/შემსრულებელი ვალერიან სილაგაძე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი დავით ერემეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2025 წლის --- ნოემბრის
№ განკარგულების დანართი

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმა**

| № | ქონების დასახელება | მისამართი | ფართობი (კვ.მ.) | საკადასტრო კოდი | საწყისი საპრივატი-ზებო საფა-სური (ლარი) | აუქციონით განკარგვის ფორმა (პირობით ან უპირობოდ) | სრული ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდი ან/და პერიოდულობა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 |
| 309 | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | ქალაქი ქუთაისი, ნიკეას ქუჩა, II შესახვევი, №36-ის მიმდებარედ | 81 | 03.05.23.809 | 55.00 (1 კვ.მ.–ზე) | უპირობო | ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში |
| 310 | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | ქალაქი ქუთაისი, სულხან-საბას გამზირი №43ბ-ს სამხრეთით | 88 | 03.05.28.674 | 55.00 (1 კვ.მ.–ზე) | უპირობო | ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში |
| 311 | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | ქალაქი ქუთაისი, ბუკიას ქუჩის მიკრორაიონი (ნაკვეთი №2) | 88 | 03.01.32.089 | 70.00 (1 კვ.მ.–ზე) | უპირობო | ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში |
| 312 | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | ქალაქი ქუთაისი, ნიკეას ქუჩა, II შესახვევი, №13-ის აღმოსავლეთით | 3 | 03.05.23.304 | 55.00 (1 კვ.მ.–ზე) | უპირობო | ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში |
| 313 | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | ქალაქი ქუთაისი, სულხან-საბას გამზირის მიმდებარედ | 1585 | 03.05.28.634 | 55.00 (1 კვ.მ.–ზე) | უპირობო | ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში |
| 314 | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | ქალაქი ქუთაისი, ფოთის ქუჩა №13გ | 1150 | 03.06.01.452 | 130.00 (1 კვ.მ.–ზე) | უპირობო | ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში |

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი დავით ერემეიშვილი